საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში

სოციალური რეკლამის განთავსების რეგულაციების დანართი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიას და რადიოს დირექტორს

ბატონ გიორგი კოხრეიძეს

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, ჩვენს მიერ წარმოდგენილ ვიდეორგოლს მიანიჭოთ სოციალური სტატუსი და განათავსოთ ტელევიზიის / რადიოს ეთერში შემდეგ პერიოდებში:

10 მარტიდან - 19 მარტის ჩათვლით

19 აპრილიდან -28 აპრილის ჩათვლით

სარეკლამო რგოლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია დანართში.

წაკითხული მაქვს და ვეთანხმები სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში სოციალური რეკლამის განთავსების რეგულაციებს.

ხელმოწერა :

ომარ ტაკიძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი

თარიღი: 4/03/2022

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში

სოციალური რეკლამის განთავსების განაცხადის დანართი

გთხოვთ მიუთითოთ (მონიშნოთ) და დაასაბუთოთ რომელ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს თქვენს მიერ მოწოდებული რეკლამა:

☒ საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობა

დასაბუთება:

საქართველოში ქალების ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ეკონომიკურ სოციალური დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი გამოწვევად რჩება.
საქართველოში დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება ადგილობრივ დონეზე ქალების საზოგადოებრივი აქტიურობის ხარისხი და გენდერული თანასწორობა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში ქალთა ჩართულობას.
მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ძალიან დაბალია მუნიციპალიტეტებში, ქალების სოციალურ ეკონომიკური დამოუკიდებლობა. შუახევის მუნიციპალიტეტის დონეზე ქალებისთვის დასაქმების ძირითად კერად მიიჩნევა ბაღი, სკოლა ან მაღაზიის გამყიდველობა. მდგომარეობის გამოსწორება ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გაზრდის გენდერულ თანასწორობას, რადგან ძლიერი ქალი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არის აქტიური საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელია, ქალების სამეწარმეო მიმართულებით გააქტიურებაში. ამ მიზნით 2019 წლიდან შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახორციელებს მიზნობრივი პროგრამას: ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება" , რომელიც შესაძლებლობას აძლევს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებს და ქალთა საინიციატივო ჯგუფებს აქციონ თავიანთი იდეა რეალობად.

2022 წლეს კი აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 15 000 ლარი. წარდმოგენილი სარეკლამო რგოლი მიზანდ ისახავს, შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18 წლისა და ზევით ასაკის ქალების ინფორმირებას პროგრამის შესახებ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, კერძოდ აჭარის **საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერით გასული სარეკლამო რგოლი,** უზრუნველყოფს ბენეფიციართა მეტ ჩართულობას და არსებული დაფინანსებით სარგებლობას, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა სოციალური ყოფის გაუმჯობესებას.

☐ საქველმოქმედო მიზნების მიღწევა
დასაბუთება:

☒ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

სამწუხაროდ დღესდღეობით არის პროგრამების ნაკლებობა, რომელიც მისცემს ქალებს შესაძლებლობა სრულად გამოავლინო თავისი შესაძლებობები. ამავ დროულად ქალები ნაკლებად იჩენენ დაინტერესებას მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების მიმართ,

რომელთა მოსარგებლედ შესაძლებელია იქცნენ ქალები. არსებული მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ გარედან ქალებისთვის შესაბამისი გამოცდილების და ცოდნის გაზიარებით. რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების გააქტიურებას სხვადასხვა მიმართულებით, ამისთვის კი საჭიროა ქალებში ცოდნის და უნარების ამაღლება. შესაბმისად რეკლამის განთავსება ქალებში გამოიწვევს დაინტერესებას და გაუჩნდებათ სურვილი მოიძიონ ინფორმაცია სხვა პროგრამების შესახებს, რომელსაც ახორციელებს მუნიციპალიტეტი, ისარგებლონ მუნიციპალიტეტშ არსებული ქალთა ოთახის სერვისებით, . რაც თავის მხრივ გაზრდის მათ ცნობიერებას მუნიციპალიტეტში მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

- ☐ საზოგადოების ქცევის პოზიტიური თვალსაზრისით შეცვლა

  დასაბუთება:

რეკლამის განთავსების ხანგრძლივობა - 20 დღე თვე. (10 მარტი -19 მარტის ჩათვლით/19 აპრილი -28 აპრილის ჩათვლით).

ხელმოწერა:

თარიღი: 04.03.2022